

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას
ცვლილება, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

(საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1999წ. 22 ივლისი. მუხლი 14)

„მუხლი 148.1 – რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

- რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა – ესე იგი პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება რელიგიური აღმსარებლობის გამო, თუ ამით დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, ისჯება ჯარიმით 10 000 ლარამდე, ან თავისუფლების აღკვეთით – ვადით ორ წლამდე.
- იგივე ქმედება გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ან პირის მიერ, რომელიც ნასამართლევია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის – ისჯება ჯარიმით 20 000 ლარამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
- რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, რომელიც მიადგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას, მის წინამძღოლს, წმიდა სინოდს, აგრეთვე რეგისტრირებულ რელიგიურ კონფესიას, სასულიერო პირს, გამონატულს უნამსი ფორმით, რომელმაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.